თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3857069

ნომერი: AR1579878

თარიღი : 23.02.2018

გაცემის თარიღი : 09.03.2018

გაცნობის თარიღი : 23.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქიაჩელი , N 15, N15ა, N17ა, N19 , (ნაკვეთი 022/058);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია ინჯია პ/ნ 01007000232
- ქიაჩელი 9

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1579878 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით #AR1578466 განაცხადით მომართულ საკითხზე, თქვენი თანხმობის გარეშე მშენებლობის ნებართვის გაცემას და აღნიშნულ განაცხადთან დაკავშირებით ითხოვთ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2018 წლის 18 თებერვლის #AR1578466 ელექტრონული განაცხადით სამსახურს მომართა მოქალაქე რატი ჩომახიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, #01.15.03.022.058 საკადასტრო ერთეულზე შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის გაცემა, რომლის საფუძველზეც სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით ინტერაქტიული რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.